

ნატოს და ევროკავშირის როლი ევროპული უსაფრთხოების სისტემის გარდაქმნაში რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში

ვადიმ ხერიმიანი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ყოვლისმომცველი ანალიზი იმის შესახებ, თუ როგორ შეცვალა რუსეთის მიერ 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანმა ომმა ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა და რა გავლენა იქონია კონფლიქტმა ევროპაში მთავარი უსაფრთხოების აქტორების - ნატოს და ევროკავშირის პოლიტიკაზე.

საკითხის **აქტუალობა** განპირობებულია ომის შედეგების გავლენით ევროპულ უსაფრთხოებაზე. კონფლიქტმა გამოიწვია პოლიტიკური, ჰუმანიტარული და ენერგეტიკული კრიზისი ევროპაში, რამაც აიძულა ევროკავშირი, ნატო და ცალკეული ევროპული ქვეყნები, გადაეხედათ თავიანთი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიები, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და ურთიერთობები რუსეთთან. ევროკავშირისა და ნატოს სტრატეგიების ტრანსფორმაციის გაანალიზება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ორი ორგანიზაციის ურთიერთქმედება, განსხვავებები მიდგომებში და საერთო უსაფრთხოების სისტემის გარდაქმნის პერსპექტივები.

კვლევის **მიზანია** ევროპული უსაფრთხოების სისტემის განვითარებაში ევროკავშირის და ნატოს როლის გაანალიზება, მათი სტრატეგიების ინსტიტუციონალური და პოლიტიკური დინამიკების განსაზღვრა და ასევე საკვანძო გამოწვევებისა და ტენდენციების შესწავლა.

ნაშრომის ფარგლებში დასმულია შემდეგი **ამოცანები**:

- ევროპული უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმაციის გაანალიზება უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ;
- ნატოს და ევროკავშირის საქმიანობაზე და ევროპული ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებაზე კონფლიქტის გავლენის კვლევა;
- ევროპაში მომავალი ინტეგრაციული და თავდაცვითი მექანიზმების პერსპექტივების შესწავლა.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომმა გამოიწვია ნატოში მოკავშირეებს შორის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაძლიერება, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავდაცვის ხარჯების ზრდა, ნატოსა და ევროკავშირის კიდევ უფრო დაახლოება საერთო ტრანს-ატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ევროპის ენერგეტიკული სექტორის მნიშვნელოვანი დივერსიფიკაცია.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შედარებითი ანალიზის მეთოდები, Case-Study, პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი, ასევე პოლიტიკური ლიდერების და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებები და ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტების კონტენტ-ანალიზი.

თავი 1. უკრაინის ომის გავლენა ევროპული უსაფრთხოების მთავარ აქტორებზე

1.1 ნატოს როლი ევროპული უსაფრთხოების სისტემის გარდაქმნაში

დღეს ევროპული უსაფრთხოება ორ ძირითად ორგანიზაციულ სტრუქტურაზეა აგებული. ეს ორგანიზაციებია ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი.

ეჭვგარეშეა, რომ ევროპის უსაფრთხოებას ყველაზე მტკიცედ და ეფექტურად ნატო უზრუნველყოფს. უკრაინაში მიმდინარე ომის კონტექსტში ნატოს მნიშვნელოვანი როლი გააჩნია უკრაინის სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერისა და რუსეთის შეკავების თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოწინავე ადგილი უკავია ნატოში და მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის გარანტორს საკუთარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალისა და ბირთვული შესაძლებლობების გათვალისწინებით, აშშ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპული უსაფრთხოების სისტემის გარდაქმნის პროცესში.³

რუსეთის მიერ ევროპის კონტინენტზე ომის დაბრუნებამ ხელი შეუწყო ტრანსატლანტიკური ურთიერთობების განვითარებას და ნატოში მოკავშირეებს შორის ერთიანობის განმტკიცებას. უკრაინაში ომის დაწყებამდე სულ რაღაც ორი წლის წინ საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი ნატოს „მკვდარ ტვინს“ უწოდებდა,⁴ თუმცა ტრანსატლანტიკური საზოგადოება უკრაინის საკითხში იმაზე უფრო მტკიცე აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოელოდნენ. საერთო ევროპული თავდაცვა და უსაფრთხოება კიდევ უფრო განმტკიცდა მას მერე, რაც ისტორიულად

³ Suzana Anghel and Mario G.H. Damen, The Future European security architecture, Dilemmas for EU Strategic Autonomy, European Parliamentary Research Service, Introduction

⁴ <https://www.economist.com/europe/2019/11/07/emmanuel-macron-warns-europe-nato-is-becoming-brain-dead>

ნეიტრალური ქვეყნები, შვედეთი და ფინეთი, ნატოში გაწევრიანდნენ. ომმა უკრაინაში სწრაფი და დრამატული გავლენა იქონია ამ ორი ქვეყნის საზოგადოებრივ აზრზე, რადგან რუსული საფრთხე საერთო ევროპული უსაფრთხოების წინააღმდეგ იქნა აღქმული.⁵ ამდენად, ნატოს გაფართოება გახდა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგი და არა მიზეზი, როგორც ამას რუსული პროპაგანდა ამტკიცებდა. ამ კონტექსტში უნდა ვახსენოთ ასევე ცივი ომის შემდეგ აშშ-ის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში საკუთარი სამხედრო პერსონალისა და შეიარაღების რაოდენობის მკვეთრი გაზრდა, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ნატოს აღმოსავლეთი ფლანგი და ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები, დამატებითი უსაფრთხოება მიანიჭა.

უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან მალევე ნატომ ახალი სტრატეგიული კონცეფცია მიიღო, სადაც რუსეთი მოხსენიებულია, როგორც ყველაზე არსებითი და პირდაპირი საფრთხე მოკავშირეების უსაფრთხოებისთვის და ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.⁶ ომმა უკრაინაში პირდაპირი გავლენა იქონია ნატოს დოქტრინაზე და ცივი ომის შემდეგ ალიანსს კვლავ დაუბრუნა ორი მთავარი ფუნქცია, თავდაცვა და შეკავება.⁷ აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საკვანძო მნიშვნელობა მიენიჭა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებას, წევრი ქვეყნების მიერ თავდაცვაზე მეტი თანხის დახარჯვას და ნატოს 2 პროცენტის სტანდარტის დაკმაყოფილებას.

2014 წლის ნატოს უელსის სამიტის შემდგომ ევროპაში მხოლოდ ექვსი ქვეყანა (საბერძნეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი და გაერთიანებული სამეფო) ხარჯავდა მშპ-ს 2%-ს თავდაცვაზე. ნატოს ახალმა გენერალურმა მდივანმა, მარკ რუტემ, ცივ ომსა და ევროპაში ახალ უსაფრთხოების გარემოს შორის მსგავსება დაინახა და აღნიშნა, რომ ცივ ომში გამარჯვება და ევროპაში ცხელი ომის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა თავდაცვაში მეტი ინვესტიციის განხორციელებით, ამიტომ ახლა დადგა დრო ომისდროინდელ აზროვნებაზე გადასასვლელად.⁸

გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად ისტორიული ინვესტირება მოახდინა საკუთარ თავდაცვის სექტორში და საგრძნობლად გაზარდა თავდაცვითი შესაძლებლობები. გერმანიის ბუნდესტაგმა დაამტკიცა გეგმა, რომლის მიხედვით გერმანია შექმნის 500 მილიარდი ევროს ღირებულების ინფრასტრუქტურის ფონდს.

⁵ Towards a New European Security Architecture, Edited by Francesco Cappelletti, Foreword by Dr Antonios Nestoras, The Transatlantic Community as a Guarantor of Europe's Security Architecture: Beyond the Ukraine Challenge, Thibault Muzergues, European Liberal Forum, 2023

⁶ NATO 2022 STRATEGIC CONCEPT, Adopted by Heads of State and Government at the NATO Summit in Madrid 29 June 2022

⁷ Suzana Anghel and Mario G.H. Damen, The Future European security architecture, Dilemmas for EU Strategic Autonomy, European Parliamentary Research Service, p-54

⁸ "To Prevent War, NATO Must Spend More" Speech by NATO Secretary General Mark Rutte at the Concert Noble, Brussels, 12 Dec. 2024

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე გერმანიის ასეთი პოლიტიკა მნიშვნელოვანია საერთო ევროპული უსაფრთხოებისთვის. ფრიდრიხ მერცმა, რომელიც ახლო მომავალში გერმანიის ახალ კანცლერად დამტკიცდება, აღნიშნა, რომ ეს არის ახალი ევროპული თავდაცვითი გაერთიანების შექმნისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.⁹ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გერმანია გახდა კიევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოკავშირე სამხედრო და ფინანსური დახმარების აღმოჩენის თვალსაზრისით. გერმანიის თავდაცვაში მასშტაბური ინვესტიციის შესახებ ბუნდესტაგის მიერ მოწონებული გეგმა ასევე ითვალისწინებს იმ სახელმწიფოთა დახმარებას, რომლებიც საერთაშორისო სამართლის დარღვევით თავდასხმის მსხვერპლი არიან. ეს კი მნიშვნელოვანი სიგნალია უკრაინისთვის, რომელსაც კრიტიკულად ესაჭიროება დასავლური ტიპის იარაღი რუსული აგრესიის შესაკავებლად.

ნატოს შეკავების პოლიტიკის ფარგლებში გერმანიამ მუდმივი ჯარი და შეიარაღება განალაგა ლიეტუვაში,¹⁰ ხოლო პოლონეთი და სლოვაკეთი უზრუნველყო საჰაერო თავდაცვითი სისტემებით.¹¹ ეს არის საკვანძო მნიშვნელობის ნაბიჯები ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერების და რუსული აგრესიის შეკავების კუთხით.

უკრაინაში ომის ფონზე ნატოს მიერ ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის გაძლიერების კიდევ ერთი მაგალითი იყო გაფართოების პოლიტიკის გაგრძელება და 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შედეგების გამოვლენა, რომლის მიხედვით ალიანსი ესალმება უკრაინისა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.¹² ნატოს გაფართოების პოლიტიკის შედეგი იყო შვედეთის და ფინეთის მიღება ალიანსში. ფინეთის ნატოში გაწევრიანებამ გაზარდა ალიანსის პირდაპირი საზღვარი რუსეთთან და შედეგად მეტად გააძლიერა ნატოს აღმოსავლეთი ფლანგი. გარდა ამისა, ნატოს ყოფნა კიდევ უფრო განმტკიცდა ბალტიის ზღვაში, რომელსაც რუსეთი საკუთარი გავლენის სფეროდ აღიქვამდა, თუმცა უკრაინაში ომმა ეს გავლენა არსებითად შეზღუდა.

ნატოს მიერ უკრაინის მხარდაჭერა საკვანძო ფაქტორია რუსეთის შეკავებაში. 2023 წლის ნატოს ვილნიუსის სამიტზე შეიქმნა ნატო-უკრაინის საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ფორმატს სამთავრობო და სამხედრო დონეზე.¹³ ნატოს 32 წევრი ქვეყნის და 25 არაწევრი ქვეყნის მიერ შექმნილი „რამშტაინის

⁹ <https://www.bbc.com/news/articles/c62z6qljv2yo>

¹⁰ <https://www.dw.com/en/germany-sends-first-soldiers-for-permanent-lithuania-force/a-68768490>

¹¹ <https://www.reuters.com/world/europe/germany-end-patriot-air-defence-system-deployments-poland-slovakia-this-year-2023-04-20/>

¹² Bucharest Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Bucharest on 3 April 2008

¹³ https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_217652.htm

ჯგუფი“ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვანი მექანიზმი გახდა უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდების თვალსაზრისით.

1.2. ევროკავშირი - უსაფრთხოების ახალი აქტორი

ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ევროკავშირსაც. 1951 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების დამფუძნებელმა ქვეყნებმა დაძლიეს ერთმანეთს შორის არსებული მტრობა და ევროპულ კონტინენტზე ხანგრძლივ მშვიდობასა და სტაბილურობას ჩაუყარეს საფუძველი.¹⁴ ევროპული ინტეგრაცია იქცა როგორც საშუალებად, ისე მიზნად ევროპის კონტინენტზე და პოტენციურად მის ფარგლებს გარეთაც ომის თავიდან ასაცილებლად.¹⁵

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის დაწყების შემდეგ ევროპას მოუწია, ამ მისიაზე პასუხისმგებლობა დაებრუნებინა. ევროკავშირი ჩამოყალიბდა, უპირველესყოვლისა, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება და ამდენად, ის რბილ ძალად იქცა. ევროპული ქვეყნების უსაფრთხოებისა და ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფა კი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ამოცანა გახდა. თუმცა, ევროპული თავდაცვითი ინტეგრაციის იდეამ მეტი აქტუალურობა შეიძინა ცივი ომის დასრულებისა და ევროკავშირის მიერ იუგოსლავიის ომების თავიდან ვერ აცილების შემდეგ. 1993 წელს მაასტრიხტის, იგივე ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების, ძალაში შესვლისთანავე ევროპული პოლიტიკური თანაშრომლობა ჩაანაცვლა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ.¹⁶ აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში 1996 წელს ჩამოყალიბდა ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობა,¹⁷ ხოლო 1998 წელს სანტ-მალოს დეკლარაციის მიხედვით, გაერთიანებულმა სამეფომ მზადყოფნა გამოთქვა, უზრუნველყო ევროკავშირი ავტონომიური თავდაცვითი სტრუქტურებით.¹⁸ აღნიშნულმა მოვლენამ განაპირობა ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება 1999 წელს, რამაც გაზარდა ევროკავშირის როლი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში.

¹⁴ იგულისხმება ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანების წევრი ქვეყნების ტერიტორია. აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა, ამიტომ მშვიდობა და სტაბილურობა იქ ჯერ არ იყო.

¹⁵ https://www.mpi.de/files/pdf6/moser-2024_impact-of-war-in-ukraine-on-csdp.pdf

¹⁶ https://web.archive.org/web/20140708043235/http://europa.eu/legislation_summaries/glossary/eu_pillars_en.htm

¹⁷ https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:european_security_defence_identity

¹⁸ <https://euobserver.com/foreign/138147>

აღსანიშნავია, რომ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით ევროკავშირი ნატოს მიიჩნევს, როგორც ევროპის ტერიტორიული თავდაცვის გარანტორს.¹⁹ თუმცა, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნით, ევროკავშირი თავად ჩაერთო სამშვიდობო მისიების აღსრულებასა და კრიზისების და კონფლიქტების დარეგულირებაში.²⁰

2022 წელს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ევროკავშირის დონეზე გააძლიერა ინტეგრაცია თავდაცვის სფეროში. ეს გამოიხატა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებით საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში, მათ შორის იყო, დანიის მრავალწლოვანი ყოყმანის დასრულება ევროკავშირის თავდაცვითი ინტეგრაციის მიმართ, ევროკავშირის მიერ უკრაინისთვის სამხედრო შეიარაღების მიწოდება და *European Peace Facility* გამოყენება უკრაინისთვის იარაღის მიწოდების დასაფინანსებლად.²¹ 2022 წლის მარტში ევროპელმა ლიდერებმა მიიღეს ვერსალის დეკლარაცია და გაიმეორეს ევროკავშირის ვალდებულება, აიღოს მეტი პასუხისმგებლობა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოახდინოს მეტი და ეფექტური ინვესტირება თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში, გააძლიეროს ევროკავშირის თავდაცვის ინდუსტრია და გაზარდოს ევროკავშირის უნარი, იმოქმედოს ავტონომიურად. გარდა ამისა, ევროპელმა ლიდერებმა განსაზღვრეს ევროკავშირისა და ნატოს დაახლოებული თანამშრომლობა, როგორც საკვანძო ფაქტორი ევროპული უსაფრთხოებისთვის.²²

უკრაინაში ომის დაწყებიდან სულ რაღაც ერთ თვეში ევროკავშირის საბჭომ შეიმუშავა სტრატეგიული კომპასი - ამბიციური სამოქმედო გეგმა ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის გასაძლიერებლად 2030 წლისთვის. ამ გეგმის მიზანია ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერება და პარტნიორებთან თანამშრომლობით ევროკავშირის ღირებულებებისა და ინტერესების დაცვა. გეგმაში ნათქვამია, რომ უსაფრთხოებასა და თავდაცვაში ძლიერი ევროკავშირი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გლობალურ და ტრანსატლანტიკურ უსაფრთხოებაში, რაც თავსებადია ნატოს მისიასთან, რომელიც წარმოადგენს კოლექტიური თავდაცვის საფუძველს წევრი ქვეყნებისთვის.²³

¹⁹ https://commission.europa.eu/funding-tenders/find-funding/eu-funding-programmes/common-foreign-and-security-policy_en

²⁰ https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy_en

²¹ Carolyn Moser, The impact of the war in Ukraine on the EU's Common Security and Defence Policy, A. Introduction

²² Suzana Anghel and Mario G.H. Damen, The Future European security architecture, Dilemmas for EU Strategic Autonomy, European Parliamentary Research Service, p-60

²³ <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/03/21/a-strategic-compass-for-a-stronger-eu-security-and-defence-in-the-next-decade/>

უკრაინაში ომის დაწყებიდან ევროკავშირის ინსტიტუტები, აშშ-ს შემდეგ, გახდნენ კიევის უდიდესი დონორები ფინანსური დახმარების გაწევის კუთხით.²⁴ გარდა ფინანსური და სამხედრო დახმარების გაწევისა უკრაინისთვის, ევროკავშირმა რუსეთის და მისი მოკავშირეების, ბელარუსის, ირანის და ჩრდილოეთ კორეის, წინააღმდეგ შემოიღო უპრეცედენტო მასშტაბის სანქციები სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკა, ფინანსები, ტექნოლოგიები, ენერგეტიკა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მოგზაურობა და სხვა).²⁵

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიამ გამოიწვია ევროკავშირის გეოპოლიტიკური გამოღვიძება.²⁶ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროკავშირი ჩამოყალიბდა როგორც რბილი ძალა და სამხედრო საკითხები ნატოს მიანდო. ამიტომ, რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ ევროკავშირისთვის დიდი შოკი აღმოჩნდა და გამოავლინა მისი სისუსტეები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არასაკმარისი თავდაცვითი მექანიზმების შემუშავების თვალსაზრისით. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ ევროპული პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა შემდეგი, „ჩვენ იმდენად ვიყავით დაკავებული მშვიდობის შენარჩუნებით, რომ დაგვავიწყდა ომისთვის მომზადება“.²⁷

ევროპელ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ყოველთვის უყურებდა ევროკავშირს, როგორც გაერთიანებას მშვიდობის შესანარჩუნებლად და შექმნილი მშვიდობიანობისთვის. ევროკავშირის საქმეებში ომს პატარა ადგილი გააჩნდა, ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობებში ის თავის ნორმატიულ, რბილ ძალას იყენებდა და არა ხისტს.²⁸ ამის მიზეზი კი ისაა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ტრადიციულად ავლენდნენ შეზღუდულ მზადყოფნას ბრიუსელის სტრუქტურებისთვის ხისტი ძალის ფუნქციების გადასაცემად.²⁹ თუმცა, ომმა უკრაინაში ეს დამოკიდებულება შეცვალა და ევროპელმა ლიდერებმა გააცნობიერეს, რომ ევროპული ღირებულებებისა და ინტერესების დასაცავად აუცილებელია, ევროკავშირი გახდეს უფრო გეოპოლიტიკური და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო საშუალებებიც გამოიყენოს.³⁰

²⁴ https://commission.europa.eu/topics/eu-solidarity-ukraine/eu-assistance-ukraine/eu-financial-support-ukraine_en

²⁵ <https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions-against-russia/>

²⁶ Romana Vlahutin, Europe's Geostrategic Awakening, Jan 10, 2024

²⁷ Carolyn Moser, The impact of the war in Ukraine on the EU's Common Security and Defence Policy, B. The geopolitical awakening in the wake of the Russian aggression

²⁸ Conceptual framework of CSDP, see Moser, Accountability in EU Security and Defence. The Law and Practice of Peacebuilding, 2020, pp. 24-29.

²⁹ Dijkstra (fn. 17), p. 20-77; Koutrakos, The EU Common Security and Defence Policy, 2013, p. 5-35.

³⁰ Matthijs/Meunier, Europe's Geoeconomic Revolution: How the EU Learned to Wield Its Real Power, Foreign Aff. 102 (Sept./Oct. 2023), 168; Moser (fn. 16).

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხები ევროკავშირის გადაწყვეტილების მიმღებთა და ინსტიტუციების დღის წესრიგში უმნიშვნელო ადგილს იკავებდა. მეტი ყურადღება ეთმობოდა ფინანსურ, მიგრაციისა და პანდემიების საკითხებს.³¹ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 26-ე მუხლის მიხედვით, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის წარმოება წევრი ქვეყნების კომპეტენციას წარმოადგენს, ხოლო ევროპული საბჭო და ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭო იღებენ პასუხისმგებლობას სტრატეგიული პრიორიტეტებისა და ძირითადი ინტერესების განსაზღვრასთან დაკავშირებით, საბჭოს ასევე ევალება პოლიტიკის გატარება შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე.³² თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც ერთი ინსტიტუტი სრულყოფილად არ ახორციელებდა საკუთარ უფლებამოსილებას და თავდაცვის საკითხების მიმართ არასაკმარის დაინტერესებას იჩენდა. გამონაკლისი შემთხვევები იყო 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ გადადგმული ნაბიჯები³³ და 2018 წელს PESCO-ს³⁴ (საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სტრუქტურული ერთეული) დაარსება. ამდენად, ევროკავშირის ინსტიტუტები თავისი კომპეტენციის ფარგლებში არასაკმარისად იყვნენ ჩართული საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში და ფოკუსირდებოდნენ ისეთი კრიზისების მართვაზე, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვდა.

ომმა უკრაინაში გამოავლინა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ნაკლოვანებები, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა სტრატეგიული წინდახედულობა, სამხედრო შესაძლებლობები და ინსტიტუციური რელევანტურობა.³⁵ ამან გამოაჩინა პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პრიორიტეტების გადახედვის აუცილებლობა. სტრატეგიული განზომილების შეფასებისას ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკოსები და მაღალი თანამდებობის პირები ტრადიციულ სახელმწიფოთაშორის ომს მიიჩნევდნენ წარსულის მოვლენად. თუმცა, უკრაინაში ომის დაწყებით ევროკავშირი რეალპოლიტიკის გზას დაადგა და რბილი ძალის პოლიტიკის გატარებიდან ხისტ ძალაზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე გადაეწყო.³⁶ გარდა ამისა, ომმა გამოავლინა ევროპის ქვეყნების თავდაცვის შესაძლებლობების დეფიციტი, რაც გახდა

³¹ Moser, The impact of the war in Ukraine on the EU's Common Security and Defence Policy, p-27.

³² Stein, European Political Cooperation (EPC) as a Component of the European Foreign Affairs System, ZaöRV 43 (1983), 49; Koutrakos (fn. 18) pp. 10–14; Moser (fn. 14), pp. 35–38.

³³ Moser/Rittberger (fn. 20), 1058

³⁴ Council Decision (CFSP) 2017/2315 of 11 December 2017 establishing permanent structured cooperation (PESCO) and determining the list of participating Member States, OJ L 331/57.

³⁵ Moser, The impact of the war in Ukraine on the EU's Common Security and Defence Policy, p-28.

³⁶ Duchêne, Europe's role in world peace, in: Mayne (ed.), Europe Tomorrow: Sixteen Europeans Look Ahead, 1972, p. 32.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის თვალსაზრისით. ამიტომ, ეროვნულ დონეზე თავდაცვითი ხარჯების გაზრდა ევროპული პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარ თემად იქცა.³⁷

რაც შეეხება ინსტიტუციურ საკითხებს, განხილვის საგანი გახდა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის და ნატოს ფუნქციების ურთიერთთავსებადობა. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებას. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო 2022 წელს დანიაში ჩატარებული რეფერენდუმი, რომელმაც ბოლო მოუღო დანიის 30 წლიან სკეპტიციზმს საერთო ევროპული თავდაცვის პროექტის მიმართ.³⁸ მიუხედავად ამისა, ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებამ გაამყარა ის აზრი, რომ ნატოს წევრობა უსაფრთხოების უფრო მნიშვნელოვან გარანტიებს იძლევა.

1.3. ნატო და ევროკავშირი - საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფის განსხვავებული უფლებამოსილებები

ტერიტორიული თავდაცვის საკითხი ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების დებატების ცენტრში მოექცა მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2022 წლის 24 თებერვალს ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ და კვლავ დააბრუნა ომი ევროპის კონტინენტზე. ომმა სერიოზული გავლენა იქონია არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებაზე, არამედ ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისა და თავდაცვის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ აქტორებზე, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირზე. ევროპული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფის საკითხში საკვანძო მნიშვნელობა შეიძინა აღნიშნული ორი ორგანიზაციის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განაწილებამ და ზოგჯერ მათმა გადაკვეთამაც.³⁹ ევროკავშირის მიერ საკუთარი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებამ გააჩინა ეჭვები ნატოს სტრუქტურებთან შესაძლო კონკურენციისა და დუბლირების გაჩენასთან დაკავშირებით. დასავლელმა პოლიტიკოსებმა დაიწყეს დებატები იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებს ნატო და ევროკავშირი ევროპის თავდაცვის უზრუნველყოფას ერთობლივად, განსაკუთრებით, უკრაინაში მიმდინარე რუსეთის აგრესიული ომის

³⁷ <https://www.consilium.europa.eu/media/54773/20220311-versailles-declaration-en.pdf>

³⁸ https://www.eeas.europa.eu/eeas/denmark-statement-high-representative-outcome-referendum-opt-out-defence-matters_en

³⁹ A New Burden-Sharing Formula in the Making? How the EU and NATO Can Organise Security Together, Aylin Matlé, 2023

ფონზე და რამდენად შეუძლია ევროკავშირის დამოუკიდებლად იზრუნოს საკუთარ თავდაცვაზე ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობის გარეშე.

2025 წლიდან აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის გახშირებული მოწოდებები ევროპის მიერ ევროპულ კონტინენტზე კონვენციურ უსაფრთხოებაზე მეტი პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებით, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია ნატოს ევროპულ ქვეყნებსა და ევროკავშირის შორის უნდა გადანაწილდეს.⁴⁰ ნატოს გააჩნია მჭიდროდ ინტეგრირებული სტრუქტურები და პროცედურები და აქვს შემუშავებული რეგიონული თავდაცვითი გეგმები. აღწერილი რესურსები ათწლეულების განმავლობაში გაწეული შრომის შედეგია და მისი ჩანაცვლება არ იქნება მარტივი საქმე ახლო მომავალში.⁴¹ ამერიკის შეერთებული შტატები რჩება ალიანსის საკვანძო წევრად, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა მართვა და კონტროლი, დაზვერვა და შორ მანძილზე იერიშები.⁴² ევროკავშირისა და ნატოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აღმოსავლეთ ფლანგის წევრი ქვეყნები, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა და პოლონეთი,⁴³ და ნორდიკული ქვეყნები, ფინეთი და შვედეთი, ეყრდნობიან ნატოს, როგორც უსაფრთხოების უმთავრეს გარანტორს.⁴⁴

აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ხედვები, სხვა საკითხებთან ერთად, გავლენას ახდენს აშშ-ის როლზეც ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნატო განიცდის ტრანსფორმაციას, რადგან ეს ყოველივე დამახასიათებელია ცვალებადი საერთაშორისო გარემოსთვის. ყველაფრის მიუხედავად, ნატოს ყველა წევრი ქვეყნისთვის პრიორიტეტულია ერთი და იგივე მიზანი - ევრო-ატლანტიკური სიცრვის უსაფრთხოების შენარჩუნება.⁴⁵

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ევროპის თავდაცვის უზრუნველყოფის საკითხმა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ნატოს მოკავშირეებს შორის გაჩნდა კითხვები ევროკავშირის მიერ დამოუკიდებელი თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის გამოც განსაკუთრებით შემოფოთებული იყო ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ის პრეზიდენტები, ბილ კლინტონი და ჯორჯ ბუშ უმცროსი, სკეპტიკურად იყვნენ

⁴⁰ <https://www.defense.gov/News/Speeches/Speech/Article/4064113/opening-remarks-by-secretary-of-defense-pete-hegseth-at-ukraine-defense-contact/>

⁴¹ <https://www.nato.int/cps/en/natohq/structure.htm>

⁴² Mind the gaps: Europe's to-do list for defense without the US, By Rudy Ruitenberg, Feb 25, 2025

⁴³ <https://news.err.ee/1609609775/minister-talk-about-us-troop-withdrawal-from-estonia-is-speculation>

⁴⁴ <https://www.reuters.com/world/europe/finnish-president-trump-if-putin-wins-ukraine-us-loses-2025-02-24/>

⁴⁵ The EU must become a strategic player in defense - alongside NATO, The NATO-EU nexus, By Justina Budginaite-Froehly, March 5, 2025

განწყობილნი ევროკავშირის მიერ საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების მიმართ. შემოთავაზების მთავარი მიზეზი იყო ევროკავშირის მიერ ნატოს სტრუქტურებისა და შესაძლებლობების შესაძლო კონკურენცია და დუბლირება.⁴⁶ თუმცა, აღსანიშნავია, რომ აშშ ყოველთვის უჭერდა მხარს ევროპის თავდაცვის საშუალებების გაძლიერებას და ყველა ადმინისტრაცია თვლიდა, რომ ასეთი მცდელობები კი არ დაასუსტებს, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერებს ალიანსის პოლიტიკურ ერთიანობას.⁴⁷ ამ საკითხის შესახებ აშშ-ის ადმინისტრაციის შეხედულებები შეიცვალა 1998 წელს, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მადლენ ალბრაითმა, გამოთქვა უკმაყოფილება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ალიანსის მართვის სტრუქტურის დუბლირების გამო. ამ განცხადებამ ევროპაში გამოიწვია დაბნეულობა და ის გაიგეს ისე, თითქოს აშშ-ს უნდოდა, რომ ევროპელებს საერთოდ არ განეხორციელებინათ ინვესტიცია საკუთარ თავდაცვით შესაძლებლობებში. სინამდვილეში კი ნატოს დაარსებიდან აშშ-ის ყველა ადმინისტრაცია მოუწოდებდა ევროპელ მოკავშირეებს, მეტი წვლილი შეეტანათ თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებაში ალიანსის ფარგლებში. თუმცა, აშშ-ში საფრთხედ მიიჩნიეს ევროკავშირის მიერ ნატოს დაგეგმვის პროცესებისთვის შესაძლო კონკურენციის გაწევა და ეჭვი შეეპარათ ევროპელი სამხედროების მიერ მცირე ზომის ოპერაციების შესრულების წარმატებაში ამერიკის მხარდაჭერის გარეშე. ამდენად, აშშ-ის ინტერესი იყო, რომ ევროპელებს განეხორციელებინათ თავდაცვის პოლიტიკა ალიანსის ჩარჩოებში და არ შეექმნათ დამოუკიდებელი თავდაცვის საშუალებები და მართვის სტრუქტურები.⁴⁸

ნატოსა და ევროკავშირის კომპეტენციები და პასუხისმგებლობის არეალები გადაიკვეთა ევროკავშირის მიერ ჯერ 1992 წელს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის,⁴⁹ ხოლო შემდეგ 1999 წელს საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების შემდეგ.⁵⁰ ორ ორგანიზაციას შორის პოტენციური კონკურენციისა და დუბლირების თავიდან ასაცილებლად მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მაგალითად, 1996 წელს ნატოს ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ შეიმუშავა „ბერლინის შეთანხმება“, რომლის მიხედვითაც, ნატოს წევრი ქვეყნები დებდნენ პირობას, რომ მხარს დაუჭერდნენ ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას შესაბამისი საშუალებების უზრუნველყოფით, რათა ევროკავშირის, სურვილის შემთხვევაში, ჰქონოდა

⁴⁶ A New Burden-Sharing Formula in the Making? How the EU and NATO Can Organise Security Together, Aylin Matlé, 2023

⁴⁷ How did NATO and the EU arrive at closer cooperation?, <https://dgap.org/en/research/publications/new-burden-sharing-formula-making>

⁴⁸ <https://www.nato.int/docu/speech/1998/s981208x.htm>

⁴⁹ https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:foreign_security_policy

⁵⁰ EU SECURITY, DEFENCE AND CRISIS RESPONSE, The Common Security and Defence Policy, 12.08.2021, Strategic Communications

შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ეწარმოებინა სამხედრო ოპერაციები.⁵¹ გარდა აღნიშნული შეთანხმებისა, 1999 წელს მიღებული ნატოს სტრატეგიული კონცეფციის მიხედვით, მოკავშირეებმა აიღეს ვალდებულება, მხარი დაეჭირათ ევროკავშირის ახალი საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისთვის (CSDP).⁵² ორი ორგანიზაციის ინტერესების კიდევ უფრო დაახლოებას ხელი შეუწყო 2003 წელს „ბერლინ პლუსი“ შეთანხმების გაფორმებამ, რომლის მიზანიც იყო კრიზის მართვის შესაძლებლობების დუბლირების თავიდან აცილება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიეცათ წვდომა ნატოს დაგეგმვის შესაძლებლობებზე.⁵³

ორი ორგანიზაციის პრაქტიკული თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში თვალსაჩინო გახდა 2014 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა მოახდინა უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის ანექსია და წაახალისა სეპარატისტული მოქმედებები ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ნატოსა და ევროკავშირის პასუხი გამოიხატა ერთობლივი დეკლარაციის მიღებით 2016 წელს, რომელშიც გამოყოფილი იყო შვიდი საკითხი, რომელზეც ორგანიზაციებს უნდა ემუშავათ.⁵⁴ პირველი საკითხი ეხებოდა ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თავდაცვას, მეორე - საზღვაო და სხვა ტიპის ოპერაციებს, მესამე - კიბერ-უსაფრთხოებასა და თავდაცვას, მეოთხე - თავდაცვით შესაძლებლობებს, მეხუთე - თავდაცვის ინდუსტრიასა და კვლევას, მეექვსე - სწავლებებს/წვრთნებს და მეშვიდე - პარტნიორობის მდგრადობის გაძლიერებას.⁵⁵ 2018 წელს ორგანიზაციებმა მიიღეს მეორე დეკლარაცია, რომლითაც გაფართოვდა ევროკავშირისა და ნატოს შორის სტრატეგიული პარტნიორობა. ერთობლივ სამუშაოს დაემატა არჩევნებში დეზინფორმაციის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების შემუშავებაც.⁵⁶ 2023 წელს ევროკავშირმა და ნატომ მიიღეს მესამე ერთობლივი დეკლარაცია. იმ დროს უკვე თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რუსეთის ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ. დეკლარაცია შეიცავდა ტრანსატლანტიკური ერთიანობისა და სოლიდარობის მნიშვნელოვან გზავნილს და მასში საუბარი იყო ნატო-ევროკავშირის პარტნიორობის შემდეგ დონეზე გადაყვანაზე.⁵⁷

რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ევროპაში გამოიწვია ნატოსა და ევროკავშირის დაახლოება ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ევროპულ კონტინენტზე უსაფრთხოების გარემოს ცვლილებასთან ერთად, თვალსაჩინოა შეერთებული შტატების დამოკიდებულების

⁵¹ <https://www.nato.int/docu/comm/2004/06-istanbul/press-kit/006.pdf>

⁵² https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27433.htm

⁵³ https://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/dv/berlinplus_/berlinplus_en.pdf

⁵⁴ Joint declaration by the President of the European Council, the President of the European Commission, and the Secretary General of the North Atlantic Treaty Organization, 08 Jul. 2016

⁵⁵ https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/eu_nato_factsheet_june-2020_3.pdf

⁵⁶ NATO and EU leaders sign joint declaration, 10 Jul. 2018

⁵⁷ https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_210549.htm

ცვლილებაც ევროპის დამოუკიდებელი თავდაცვის პოლიტიკის განვითარებასთან მიმართებით.⁵⁸

უკრაინაში ომის დაწყებამ კოლექტიური თავდაცვა პრიორიტეტულ საკითხად აქცია დასავლეთისთვის. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მტკიცედ ჩადგა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში, რაც ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისთვის (CSDP) ძალზე რთული, თუ არა შეუძლებელი, ამოცანა აღმოჩნდა.⁵⁹ CSDP-ის მიზნად ჩამოყალიბებისთანავე განისაზღვრა კრიზისების მართვის ოპერაციების წარმოება, რაც ევროპაში დღეს შექმნილი უსაფრთხოების რთული გარემოს გათვალისწინებით, არასაკმარისი და არაქმედითი ინსტრუმენტია, ამიტომ ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფის საკითხში ის უკანა პლანზე გადავიდა.⁶⁰ 2022 წლის ივნისში მიღებულ ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში საუბარია საფრთხის ახლებურ აღქმაზე, რუსეთის ფედერაცია კი აღიარებულია, როგორც ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე მოკავშირეების უსაფრთხოების, მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.⁶¹ ალიანსმა შეინარჩუნა ისეთი საკვანძო ფუნქციები, როგორიცაა შეკავება და კოლექტიური თავდაცვა, კრიზისის თავიდან აცილება და მისი მართვა და თანამშრომლობითი უსაფრთხოება, რაც მოიცავს ნატოს ღია კარის პოლიტიკას და ნატოს არაწევრ ქვეყნებთან პარტნიორობას. კოლექტიური თავდაცვა რჩება ალიანსის უმთავრეს ამოცანად, თუმცა ახალი სტრატეგიის მიხედვით, კრიზისების მართვა და თანამშრომლობითი უსაფრთხოება ზურგს უნდა უმაგრებდეს შეკავებასა და თავდაცვას ნატოს ყველა წევრი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიებისთვის. ამ თვალსაზრისით კოლექტიური თავდაცვა არის ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი სხვადასხვა საშუალებითა და გზით. ნატოს ახალი სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, გარდა ალიანსის სამი ძირითადი კონცეპტუალური ამოცანისა (Deterrence and Defence, Crisis Prevention and Management, Cooperative Security and Resilience), კონვენციური და ბირთვული შეკავება წარმოადგენს ნატოს არაოფიციალურ, პრიორიტეტულ ამოცანას ნატოს განახლებული სტრატეგიული ხედვის შესაბამისად.⁶² ევრო-ატლანტიკურ სივრცეში შექმნილი უსაფრთხოების სახიფათო გარემოს გათვალისწინებით, ნატოს კოლექტიური თავდაცვა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ნატოს ტერიტორიაზე რუსეთის შესაძლო თავდასმის წინააღმდეგ, თუმცა ალიანსისთვის ასევე პრიორიტეტული საკითხია წევრი ქვეყნების

⁵⁸ <https://dgap.org/en/research/publications/new-burden-sharing-formula-making>

⁵⁹ https://www.brussels-school.be/sites/default/files/CSDS%20Policy%20brief_2212.pdf

⁶⁰ *Matlé* - From strategic documents to (joint) strategic action?, 2023

⁶¹ https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm

⁶² <https://www.nato.int/strategic-concept/>

თავისუფლებისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა ყველა საფრთხის შემთხვევაში, ყველა მიმართულებიდან.⁶³

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ევროკავშირის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კომპასი (A STRATEGIC COMPASS FOR SECURITY AND DEFENCE) გახდა ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ახალი სტრატეგია და ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების დამოუკიდებელი აქტორის ფორმირების პროცესში.⁶⁴ ევროკავშირის სტრატეგიული კომპასი ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის ექვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა მისი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფის საკითხში მთავარ აქტორად ნატო დარჩება. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიამ ნათლად აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნატოს კოლექტიური თავდაცვა. თუმცა, ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირს, გარდა კრიზისების მართვის ოპერაციების წარმოებისა, არ შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფაში. ამას ადასტურებს ევროკავშირის გაზრდილი ინტერესი დამოუკიდებელი თავდაცვითი შესაძლებლობებისა და სტრატეგიული ავტონომიის იდეის განვითარების მიმართ.⁶⁵

დასკვნა

ევროპული უსაფრთხოების სისტემის გარდაქმნაში ნატოს და ევროკავშირის როლის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ინსტიტუტი რჩება საკვანძო და ურთიერთშემავსებელ ელემენტებად უსაფრთხოების არქიტექტურაში. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომი იქცა გარდამტეხ მომენტად ევროპული უსაფრთხოების ისტორიაში, რომელმაც სერიოზული გავლენა იქონია არა მხოლოდ ევროპის, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოებაზეც.

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ხდება ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების ახალი აქტორის ჩამოყალიბება, რასაც აქვს საკვანძო მნიშვნელობა ევროპული უსაფრთხოების გაძლიერების პროცესში. ევროკავშირმა აქტიურად დაიწყო საკუთარი საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარება და თავდაცვის ინდუსტრიაში მეტი ინვესტიციების განხორციელება. გარდა ამისა, ევროკავშირის გაზრდილმა როლმა უსაფრთხოების სფეროში ხელი შეუწყო უკრაინის თავდაცვისუნარიანობის ზრდასაც.

ამდენად, ევროკავშირს და ნატოს საკვანძო როლი გააჩნიათ როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში.

⁶³ https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm

⁶⁴ https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/strategic_compass_en3_web.pdf

⁶⁵ *Matlé* - From strategic documents to (joint) strategic action?, 2023

ნატოს უსაფრთხოების კოლგა წვერი ქვეყნებისთვის რჩება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების გასაწეიტრალეზლად. უკრაინაში ომმა კი გაზარდა ინტერესი თავდაცვის პოლიტიკის განვითარების მიმართ ევროკავშირის დონეზე.

ლიტერატურა:

1. Towards a New European Security Architecture, Edited by Francesco Cappelletti, Foreword by Dr Antonios Nestoras, European Liberal Forum, 2023
2. Ondřej Ditrych & Martin Laryš, What can European security architecture look like in the wake of Russia's war on Ukraine?, European Security, 2025
3. Suzana Anghel and Mario G.H. Damen, The Future European security architecture, Dilemmas for EU Strategic Autonomy, European Parliamentary Research Service, Introduction
4. Adrian Hyde-Price, Europe's Changing Security Architecture, January 30, 2014
5. Simon Sweeney and Neil Winn, Understanding the ambition in the EU's Strategic Compass: a case for optimism at last?, Defence Studies, 2022.
6. O'Hanlon, Michael, Beyond NATO: a new security architecture for Eastern Europe. Washington, DC: Brookings, 2017 https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2017/06/full-text_-beyond-nato.pdf
7. NATO 2022 STRATEGIC CONCEPT, Adopted by Heads of State and Government at the NATO Summit in Madrid 29 June 2022
8. "To Prevent War, NATO Must Spend More" Speech by NATO Secretary General Mark Rutte at the Concert Noble, Brussels, 12 Dec. 2024
9. The EU must become a strategic player in defense - alongside NATO, The NATO-EU nexus, By Justina Budginaite-Froehly, March 5, 2025

The role of NATO and the European Union in transforming the European security system in the context of the Russia-Ukraine war

Vadim Kherimian

Abstract

This paper presents a comprehensive analysis of how Russia's large-scale war against Ukraine on February 24, 2022, changed the European security architecture and the impact of the conflict on the policies of the main security actors in Europe – NATO and the European Union.

The relevance of the issue is due to the impact of the war's consequences on European security. The conflict led to a political, humanitarian and energy crisis in Europe, which forced the European Union, NATO and individual European countries to reconsider their foreign policy strategies, defense and security policies and relations with Russia. Analyzing the transformation of the strategies of the European Union and NATO allows us to determine the interaction of the two organizations, differences in approaches and prospects for transforming the common security system.

The aim of the study is to analyze the role of the European Union and NATO in the development of the European security system, to determine the institutional and political dynamics of their strategies, and to study key challenges and trends.

The following tasks are set within the framework of the work:

- to analyze the transformation of the European security system after the Russian invasion of Ukraine;
- to study the impact of the conflict on the activities of NATO and the European Union and the national security of European countries;
- to study the prospects for future integration and defense mechanisms in Europe.

The results of the study show that Russia's war against Ukraine led to the strengthening of military-political cooperation between NATO allies, an increase in defense spending in EU member states, further rapprochement between NATO and the EU to ensure common transatlantic security, and a significant diversification of Europe's energy sector.

The paper uses comparative research methods, case studies, political and legal analysis, as well as content analysis of statements by political leaders and international organizations and official strategic documents.